პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 30 აგვისტო, 1942 წ. № 206 (6522). ფასი 15 კაპ.

მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სტახანოველებო, გააძლიერეთ სამხედრო ტემპებით მუშაობა ფრონტის დასახმარებლად!

ომიანობის დროის სტახანოველებო, გააძლიერეთ წითელი არმიისადმი დახმარება!

დონეცის ბასეინის შახტში — „ცენტრალნაია ირმინოში" სახელოვანი პატრიოტის ალექსი სტახანოვის წერაქვმა შვიდი წლის წინათ დაამსხვრია ქვანახშირის ნგრევის ძველი ტექნიკური ნორმები და პრაქტიკული დასაწყისი მისცა ჩვენი ქვეყნის უდიდეს პატრიოტულ მოძრაობას, რომელიც ისტორიაში სტახანოვური მოძრაობის სახელწოდებით ჩაიწერა. იგი გამოხატავდა, როგორც ამხანაგმა **სტალინმა** განსაზღვრა, **„სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, სოციალისტური შეჯიბრების ახალ, უმაღლეს ეტაპს"**. იგი ხალხის წიაღიდან დაიწყო, თავისი საფუძვლით როგორც უაღრესად რევოლუციური მოვლენა, როგორც შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუში, რომელიც შედეგად მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში მუშათა მატერიალური მდგომარეობის ძირფესვიანად გაუმჯობესებას, განთავისუფლებულ შრომას, მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ახალი ტექნიკის არსებობას, რომელსაც ახალი ადამიანები დაეუფლნენ. ამ პირობებმა ჩაუყარეს საფუძველი და ეს იყო მიზეზი, როგორც დიდი **სტალინი** გვასწავლის, რომ **„სტახანოვური მოძრაობა მოედო მთელს ჩვენს საბჭოთა კავშირს არა თანდათანობით, არამედ რაღაც უნახავი სისწრაფით, გრიგალივით"**.

სამშობლოს სახელოვანმა პატრიოტებმა — მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სტახანოველებმა ახალი ძალით გამოავლინეს თავიანთი დიდი შემოქმედებითი უნარი, თავიანთი მზარდი შესაძლებლობანი, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი **სტალინი** სტახანოველთა პირველ სრულიად-საკავშირო თათბირზე, რომ **ეს მოძრაობა უაღრესად გაიშლებოდა და ახალ მიღწევათა საწაულებს დაგვანახვებდა.**

საზიზღარი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში სტახანოველებმა სოციალისტური შრომის ახალი სასწაულები გვიჩვენეს. კოლოსალურად იზრდება ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები. ორასოვნები და სამასოვნები, ხუთასოვნები და ათასოვნები — ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც სოციალისტური სამშობლოს მრისხანე საფრთხის დღეებში მეტსა და მეტს აკეთებენ ფრონტისათვის, კრივონოსულ-ლუნინურად დაჰყავთ მატარებლები, რათა წითელ არმიას სწრაფად მიაწოდონ საბრძოლო იარაღები, კვების პროდუქტები, ზურგში გმირული შრომით აჩქარებენ ჰიტლერელი ყაჩაღების სრულ განადგურებას — **ომიანობის დროის სტახანოველები გმირი წითელი არმიის ღვიძლი ძმები და ერთგული თანაშემწენი არიან.**

საბჭოთა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში გამოვლინდნენ სტახანოველთა ახალი კადრები. ფართოდ დაინერგა **მრავალდაზგოსნობა და პროფესიათა შეთავსებლობა.** კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ბევრმა ქალმა შრომითი მამაცობის ნიმუშები გვიჩვენა, ბევრმა მათგანმა ომში წასულის ადგილი დაიკავა და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

გაიზარდა ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები. ათასოვნები გახდნენ თბილისის საწარმოების სტახანოველები: ა. ხუციშვილი, მ. კობერიძე, მ. ბიკოვი, მ. ჯოხაძე, ი. მოლჩანოვი, ა. სხირტლაძე და მრავალი სხვ. თბილისის 26 კომისრის სახელობის **ქარხნის** საზეინკლო-შემდუღებელმა ბრიგადამ ამხ. ა. ხაჟიევის ხელმძღვანელობით აგვისტოს 25 დღის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა ელექტროენერგია.

სამშობლოს წინაშე პატრიოტული ვალი აღაფრთოვანებს ჭიათურელ მაღაროელებს, რომლებიც მარგანეცის ქანებს ფრონტული თავდადებით ებრძვიან და ქვეყანას დიდი რაოდენობით აძლევენ მარგანეცს. მარტო ერთი მაღაროს, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს სტახანოველებმა შვიდ თვეში 1.716.000 მანეთი დაზოგეს! ტყიბულელმა მაღაროელებმა ა. ქათამაძემ, დ. სუქნიძემ, ს. გვენეტაძემ, მ. გაბრიაძემ, ი. კუბლაშვილმა, ა. ქასრაშვილმა და სხვ. 1-დან 25 აგვისტომდე ორ-ორი თვის დავალება შეასრულეს და გეგმის გადამეტებით მისცეს ჩვენს ქვეყანას მრეწველობის პური — ქვანახშირი.

საკოლმეურნეო სოფლის აყვავებულ ველ-მინდვრებზე მეომრის თავდადებით მუშაობენ ომიანობის დროის სტახანოველები მეტი პურის, მეტი ჩაის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასაღებად. სტახანოველმა ქიონია სარსანიამ 20 აგვისტოს 3.588 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და დღიური დავალება 17.990 პროცენტით შეასრულა. ულიანოვკის მტს-ის კომბაინერმა მ. ბახტურიძემ წელს მოსავალი აიღო 508 ჰექტარზე და გეგმა 230 პროცენტით შეასრულა. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და იგი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშისა და პირველი პრემიის მიღების კანდიდატად სცნეს. დიდია საბჭოთა ხალხის შრომითი აღმავლობა!

ომიანობის დროის სტახანოველთა რიგები შეუჩერებლად იზრდება. შრომითი პათოსი, რომელიც ჩვენი სამშობლოს მრისხანე დღეებში სჩქეფს, კიდევ უფრო ძლიერდება ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მიმართვის პასუხად. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. პ. **ბერიას** სახელობის კოლმეურნეობის წევრების გამოხმაურება. ანტიფაშისტური მიტინგის პასუხად, მათ წერილობით მიმართეს სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ-შაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს გააძლიერონ წითელი არმიისადმი დახმარება. ეს წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დღეს ქვეყნდება, ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენებს ამიერ-კავკასიის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის სიმტკიცეს და ძლევამოსილებას, მზადყოფნას — ბოლომდე იბრძოლონ ჰიტლერელი ვანდალების სრული განადგურებისათვის.

ვამრავლოთ ჩვენი ქვეყნის პატრიოტთა — სტახანოველთა რიგები. ყოველდღე გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება. გმირი წითელი არმიის წმინდა ფიცს — **არცერთი ნაბიჯი უკან!** შრომის ფრონტის მებრძოლთა წმინდა ფიცით ვუპასუხოთ: **ყველაფერი ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის!**

ომიანობის დროის სტახანოველებო! მეტი და მეტი დახმარება გავუწიოთ გმირ წითელ არმიას!

საზიზღარ ჰიტლერელ ავაზაკთა სრული განადგურებისათვის გავსწიოთ წინ დიადი დროშით, **ლენინ-სტალინის** ძლევამოსილი დროშით!

ბრძოლები რჟევისათვის

რჟევისათვის ბრძოლა დღითიდღე სულ უფრო გაფთრებულ ხასიათს იღებს. გაარღვიეს რა მტრის თავდაცვა, რომელსაც გერმანელები 9 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში აგებდნენ, ჩვენი ჯარები პირისპირ მიადგნენ რჟევს — ძველისძველ რუსულ ქალაქს, რომელიც გერმანელებმა ფრონტის ამ უბანზე წინააღმდეგობის დასაყრდენ კვანძად გადააქციეს. თავდაცვის პირველი ხაზის გარღვევის შემდეგ მტერი პირდაპირ ყოველ მეტრ მიწას ებღაუჭებოდა, მაგრამ მას თანდათანობით უფრო და უფრო შორს ვერეკებოდით. უკვე ზედ ქალაქთან შემტევი ნაწილები წინააღმდეგობის რამდენიმე კვანძს შეხვდნენ. გერმანელები წინასწარ აგებულ მიწურ საცეცხლე წერტებსა და ხანგრძლივ საცეცხლე წერტებში ჩასხდნენ. მთლიანმა დანაღმულმა მინდვრებმა გზა გადაუღობა ჩვენს ტანკებსა და ქვეით ჯარს. მათ დაეხმარნენ საბჭოთა არტილერისტები და ავიაცია, რომლებმაც მასირებული თავდასხმებით დაანგრიეს ეს სიმაგრეები. არტილერია განუწყვეტლივ ახლავს თან მსროლელი ნაწილების საბრძოლო მწყობრებს, გზას უკაფავს მათ თავისი ცეცხლით. სახელოვანი არტილერისტები აქ ფართოდ იყენებენ პირდაპირი დამიზნებით სროლას. უკანასკნელ დღეებში ბატარეამ უფროს ლეიტენანტ ბორისენკოს მეთაურობით პირდაპირი დამიზნებით მოსპო გერმანელთა 6 ქვემეხი, 11 ტყვიამფრქვევი, გაჟლიტა 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. განსაკუთრებულ სიმამაცეს იჩენენ ტანკისტები. ქვეით ჯართან და არტილერიასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით ჩვენი ტანკები პირველნი იჭრებიან მოწინააღმდეგის სიმაგრეებში, მუხლუხებით სრესენ გერმანელებს, რომლებიც მათ წინააღმდეგობას უწევენ, ტყვიამფრქვევებითა და ქვემეხებით ჟლეტენ მათ.

ერთერთ ძლიერ გამაგრებულ პუნქტში პირველი შეიჭრა ტანკი უფროს ლეიტენანტ სუხოზაევის მეთაურობით. მძიმე მანქანამ თავის გზაზე მოსპო 2 ზარბაზანი და 2 ნაღმსატყორცნი. როდესაც შეამჩნია, რომ გერმანელებს მაშველი ქვეითი ჯარი მოჰყავდათ, სუხოზაევი სწრაფად გაემართა და თითქმის მიწასთან დაამსხვრია ჯარისკაცებით სავსე ოთხი სატვირთო მანქანა. როცა მისი ტანკი ნაღმზე აფეთქდა, უფროსი ლეიტენანტი სხვა მანქანაში გადაჯდა. ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა. ზემდეგმა ტაჩანმა მეთაურს ჭრილობა შეუხვია. სუხოზაევი ტანკში დარჩა და განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას. მეორე მანქანით მან გასრისა 3 მიწური საცეცხლე წერტი და 2 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი. გერმანელები სოფლის განაპირას ჩასხდნენ და თავდაცვისათვის ღრმა სანგრებს იყენებდნენ. სუხოზაევის ტანკი სწორედ იქით გაეშურა. მანქანა მუხლუხებით სრესდა ჯარისკაცებს. გერმანელებმა ვერ გაუძლეს ასეთ სწრაფ დარტყმას და უკან დაიხიეს. მათი სანგრები ჩვენმა ქვეითმა ჯარმა დაიკავა. ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინა ლეიტენანტ ლატუნოვის ეკიპაჟმა. მისმა მანქანამ მტრის 30-მდე ჯარისკაცი გაჟლიტა. რჟევისათვის ბრძოლამ გამოავლინა ასობით გმირები, რომლებიც სისხლისა და თვით სიცოცხლის დაუზოგავად იბრძვიან სამშობლოს თავისუფლებისათვის.

მუდამ მოსაგონარი იქნება სერჟანტ გოლოვნიას გმირობა. ჩვენმა ოცეულმა ალყა შემოარტყა მტრის მიწურ საცეცხლე წერტს. გერმანელები იქიდან ძლიერ ცეცხლს უშენდნენ მებრძოლებს. დროდადრო ჯარისკაცები სიმაგრეებიდან გამოხტებოდნენ ხოლმე და ცდილობდნენ უკუეგდოთ ჩვენი მებრძოლები. ასეთი შეტაკების დროს გოლოვნიამ შენიშნა, რომ ერთი ფაშისტი ოცეულის მეთაურს უმიზნებდა. სერჟანტი მკერდით გადაეფარა მეთაურს და სიცოცხლე შეუნარჩუნა. გოლოვნია დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. სიმაგრეზე მებრძოლთა გადამწყვეტი კვეთების დროს გოლოვნია წინ გაიჭრა, ქარიშხლისებურ ცეცხლში მიირბინა სათოფურთან და იგი თავისი სხეულით დაჰფარა. მებრძოლები მტრის ბუნაგში შეიჭრნენ და სასტიკად იძიეს შური უშიშარი სერჟანტის სიკვდილისათვის. ძაბაბული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ნაწილებმა გერმანელთა სიმაგრე დაამსხვრიეს. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში დავიკავეთ 13 დასახლებული პუნქტი, მოსპობილია ათასობით გერმანელი, წამოღებულია დიდი დავლა. ამჟამად ჩვენი ჯარები რჟევის გარეუბნებში იბრძვიან. ბრძოლა თითოეული სახლისათვის სწარმოებს. გერმანელებმა ქვიტკირის ყველა სახლი ხანგრძლივ საცეცხლე წერტებად გადააქციეს, ჩაბერეს ქუჩები, შექმნეს დანაღმული მინდვრები. ჩვენი ნაწილები თითო მეტრობით ართმევენ მტერს საბჭოთა მიწა-წყალს, მედგრად მიიწევენ წინ.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

[illegible]

ბელადის სახელობის ქარხნის მოწინავენი

[illegible] ...ღდებისათვის. ცალკეულ უბნებზე სტახანოველები შრომის ფრონტზე თავდადებულობის მაგალითებს გვიჩვენებენ. ამწყობ საამქროში მედალოსან ამხ. ს. ამიროვისა და ზ. ზუბიევის ბრიგადები 200-300 პროცენტით ასრულებენ ყოველთვიურ დავალებას. აგვისტოს ორი დეკადის გეგმა ამ ბრიგადებმა 250 პროცენტით შეასრულეს. ჰანჰიკის მჭრელი ეკატერინე ხუბულური საუცხოოდ უვლის თავის დაზგას და ყოველდღიურად ორ-სამ ნორმას იძლევა. სტახანოველი მჭედლები ორდენოსანი ამხ. კ. ილურიძე და მედალოსანი მ. გუგულაშვილი, არუსტანოვი 250-350 პროცენტით ასრულებენ გეგმას. ასევე ორ-სამ და ოთხ ნორმას იძლევიან ორდენოსანი ამხ ხაჯალია, მედალოსანი ამხ. ბაბაევი და სხვ.

მუშა რაციონალიზატორები და გამომგონებლები თავიანთი შემოქმედებითი შრომით აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას. მარტო წინასამაისო სოცშეჯიბრების დროს ქარხანაში შემოვიდა 30-მდე წინადადება, რომელთა უმრავლესობა რეალიზებულია და ქარხანას დიდ ეკონომიას აძლევს.

ფრონტზე წასული ამხანაგების შესაცვლელად ქარხანას დაუბრუნდნენ ძველი კვალიფ[illegible] ...რიგებში არიან და გეგმებს 300-400 პროცენტით ასრულებენ.

სოცშეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ელმავლების შემკეთებელმა საამქრომ (უფროსი ორდენოსანი ამხ. გოცირიძე), სამჭედლო საამქრომ (უფროსი ამხ. ა. ხიზანაშვილი), სპეცსაამქროებმა (უფროსები ამხ. მ. ერშოვი და შ. თევზაძე) და სხვ., რომლებიც თვიურ პროგრამას გადაჭარბებით ასრულებენ. სამგზავრო ვაგონების შემკეთებელმა საამქრომ ივლისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და იბრძვის, რათა აგვისტოც უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავროს.

ამხანაგ სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივი მთელ თავის შესაძლებლობას მოახმარს იმას, რომ უზრუნველჰყოს სამშობლოს დავალება და ზურგში გმირული შრომით დაეხმაროს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში.

ნ. ლოლაძე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარე.

ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის

ჩვენი საყვარელი ბელადის — ამხანაგ სტალინის მოწოდების საფუძველზე კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელმა ქარხანამ მთელი რიგი ვალდებულებები იკისრა, შესძლო არა თუ შეესრულებინა სასწრაფო და სპეცდაკვეთების გეგმა, არამედ დაეძლია კიდეც გადიდებული პროგრამა და აეთვისებინა ახალი სახის სამუშაოები.

ამხ. ლ. ლუგანსკი და მელიქოვი ომიანობის დროის სტახანოველი მჭედლები არიან. ისინი გეგმას ყოველთვიურად 300-400 პროცენტით ასრულებენ. პარტიის წევრობის კანდიდატი, ხარატი ამხ. ი. უკოლოვი ყოველდღიურად 4-5 ნორმას ასრულებს და ახალ კადრებს ამზადებს. კომკავშირელ ამხ. პონომარჩუკს ნაკისრი აქვს ვალდებულება მოამზადოს ახალი კადრები და პირნათლად არაღებს ამ პირობას თვიური გეგმის 400-500 პროცენტით შესრულებასთან ერთად. ზეინკალი ამხ. ი. სვანი პარტიის წევრობის კანდიდატია და მუდამ სამასოვანთა და ოთხასოვანთა რიგებშია. ამხ. ა. ხუციშვილი ამ უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში ყოველდღიურად 1.000-1.500 პროცენტით ასრულებს გეგმას.

ქარხანაში მოვიდნენ ყოფილი დიასახლისები, რომლებმაც შესცვალეს წითელ არმიაში წასული ქმრები და შვილები. ამხ. ანა ბუზიაშვილი, რომელმაც ჩინებულად აითვისა ხარატის პროფესია, ორ დაზგაზე მუშაობს, სტახანოველი გახდა და გეგმას 200-300 პროცენტით ასრულებს. პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ტატიანა ვდოვინა ომიანობის პერიოდში მოვიდა ქარხანაში და თავისი ქმრის გვერდით გამკრიალებელ დაზგაზე დაიწყო მუშაობა. დღეს ამხ. ვდოვინა მრავალდაზგოსანი სტახანოველია.

ჩვენ სხვა საწარმოებსაც ვეხმარებით გეგმისათვის ბრძოლაში.

ჩვენ, ზურგში მომუშავენი, სტახანოვურ შრომაში ვჭედავთ ვერაგ მტერზე გამარჯვებას, კიდევ უფრო გავაძლიერებთ სიფხიზლესა და შრომით თავდადებას ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მიმართვის საპასუხოდ.

გ. კაზაზიშვილი

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

მეშახტეთა შრომითი აღმავლობა

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). ტყიბულელი მეშახტენი სამამულო ომის მრისხანე დღეებში თავდადებული შრომით აღნიშნავენ დიადი სტახანოვური მოძრაობის შვიდი წლისთავს. მაღაროელთა საკავშირო სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს განსაკუთრებით კარგად ასრულებენ დასავლეთის შახტის მეშახტენი და სტალინის სახელობის მაღაროს მაღაროელები.

სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველმა მნგრეველმა და მებიგებმა ალისტრახო და ამბერკი ქათამაძეებმა, დავით სუქნიძემ, სილოვან გვენეტაძემ, მელიტონ გაბრიაძემ, ისიდორე და ბენედიქტე კუბლაშვილებმა, ალექსანდრა კასრაშვილმა და სხვებმა 1-დან 25 აგვისტომდე ორ-ორი თვის გეგმა შეასრულეს და კვარტალის გეგმების შესრულებას შეუდგნენ.

დასავლეთის შახტის მთხრელები და მებიგეები მირონ ბარცოვი, სილიბისტრო კუბლაშვილი, შალვა ფურცხვანიძე, ემელიანე სვიტენკო, ივანე იტიუშინი, თევდორე ნიკიტინი ყოველდღიურ ნორმებს, 190-დან 370 პროცენტამდე ანაღდებენ.

აღმოსავლეთის შახტის მთხრელთა ბრიგადა, რომელსაც მედალოსანი ვასილ ბარტნოვსკი ხელმძღვანელობს, მთლიანად ორასოვანებისაგან შესდგება. სტალინის სახელობის მაღაროს მოწინავე ცვლამ კლიმენტი გაბრიაძის ხელმძღვანელობით ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმა 27 აგვისტოსათვის შეასრულა.

დ. საბელაშვილი

სტახანოველებმა 7 თვეში 1.716.000 მანეთი დაზოგეს

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს სტახანოველებმა 7 თვეში 1.716.000 მანეთი დაზოგეს. ისინი თავდადებული შრომით ეხმარებიან გმირ წითელ არმიას პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში.

ლენინის ორდენოსანმა პლატონ ბოყოველმა დღემდე 6.100 ტონა მარგანეცი გამოიღო და უკვე შეასრულა წლიური დავალება. ორდენოსანი მიროტაძე ცვლაში 20 ტონის ნაცვლად 50 ტონა მარგანეცს გვაძლევს. ორასოვნები გახდნენ ამწმენდები გაფრინდაშვილი, თაბაგარი. დაწინაურდნენ სიკინჭილაშვილის და ყიფშიძის ცვლები, რომლებიც გეგმას 130-140 პროცენტით ასრულებენ. ახალგაზრდები სიმონ კავთელაძე და ივანე ბოყოველი მოკლე ხანში დაეუფლნენ ახალ პროფესიებს, იზრდებიან მოწინავეთა გამოცდილებაზე.

ორასოვანთა რიცხვი იზრდება მთავარ მექანიკურ სახელოსნოში. სტახანოველი ხარატები და ზეინკლები ჩუბინიძე, კაპანაძე, ლაბაძე, ბუაძე სპეციალურ დავალებებს 300-400 პროცენტით ასრულებენ და თავიანთ პროფესიებს ახალგაზრდებს ასწავლიან.

პ. ჭიოკაძე

როგორ დაბომბეს ჩვენმა თვითმფრინავებმა ქ. შტეტინი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 26 აგვისტოს ღამით გერმანიის სხვა ქალაქებს შორის დაბომბილ იქნა შტეტინი. ამ ქალაქის სამხედრო-სამრეწველო ობიექტები ერთ-ერთმა პირველმა დაბომბა საბჭოთა კავშირის გმირმა მფრინავმა პუსეპმა. ამხ. პუსეპი გვიამბობს: „ამ გაფრენის პირობები მეტად მძიმე იყო. გერმანიისაკენ მიმავალი თითქმის მთელი გზის გაკვლევა ქარიშხლის სქელ ღრუბლებში გვიხდებოდა. ჩვენ 8 ათასი მეტრის სიმაღლეზე ავდიოდით, მაგრამ იქაც ბრმად მივფრინავდით. ზოგჯერ ჩვენი თვითმფრინავი ჰაერის უზარმაზარ ორმოში ხვდებოდა. იგი ერთბაშად ათას მეტრზე ჩამოექანებოდა ხოლმე. მაგრამ ჩვენი საბჭოთა, მშობლიური მანქანა მაგარია — გაუძლო. დასაბომბავ ობიექტებს რომ მივუახლოვდით, ფაშისტთა ბუნაგში აფუსფუსდნენ. ქვემოდან საზენიტო ქვემეხებმა ასტეხეს სროლა. ჩვენი ხომალდის გარშემო ხშირად სკდებოდა ყუმბარები. ჩვენს ქვეშ იყო ნავსადგური შტეტინი — ფაშისტთა სამხედრო ბაზა. საზენიტო ცეცხლის ძალისა და პროჟექტორების რაოდენობის მიხედვით სჩანდა, რომ აღმოსავლეთ პრუსიაზე საბჭოთა ბომბდამშენების უკანასკნელ თავდასხმათა შემდეგ ჰიტლერელებს რამდენადმე გაუმახვილებიათ ყურადღება. მაგრამ ვერაფერმა შეგვიშალა ხელი ჩამოგვეყარა ტვირთი იქ, სადაც ეს გათვალისწინებული იყო. კარგად დავბომბეთ. ჩვენ ვხედავდით დიდ ხანძრებს, რომლებიც ნახევარ ცას ანათებდნენ.

დაე იცოდეს ჰიტლერელთა ხროვამ, რომ მათ ყველგან მივწვდებით და საზიზღარ თავებს გავუსრესთ. ეს იყო ჩემი 58-ე გაფრენა შორი მიზნის დასაბომბავად".

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

„დონსა და ყუბანზე, კავკასიაში და რჟევთან თქვენ მშობლიურ ფერგანის ველს იცავთ!"

აიმის კოლმეურნეთა განაწესი საბჭოთა კავშირის გმირ კუჩკარ დურდიევისა და მის მებრძოლ ამხანაგებისადმი

ყიშლაღი აიმი (უზბეკეთის სსრ, ანდიჟანის ოლქი), 28 აგვისტო (საკდესი). ტიან-შანის მთების კალთებთან, ზედ მდინარე სირ-დარიასთან გადაჭიმულია კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" უზარმაზარი მინდვრები.

აქ მშობლიური ადგილების სანახავად მოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი კუჩკარ დურდიევი.

მისი მოსვლის გამო პარკში მიტინგი შესდგა. აიმისა და მეზობელი ვოროშილოვსკის რაიონების ორი ათასზე მეტმა მოწინავე ადამიანმა მოიტანა პატაკი თავიანთი გამარჯვების შესახებ შრომითს ფრონტზე და ფიცი დასდო იყვნენ ღირსნი უზბეკი ხალხის განთქმული გმირისა. გმირის მამამ დურუი ახმედოვმა, 70 წლის სტახანოველებმა ისმან ატამ და ჰამდამ ატამ ყველა თანამემამულის სახელით ძვირფას სტუმარს მკაცრი ხალხური განაწესი მისცეს.

— ჩვენო ძვირფასო კუჩკარ, თვითონაც დაიხსომე და შენს ამხანაგებსაც გადაეცი: ჩვენ ფრონტს ვაძლევთ ყოველივეს, რაც კი შეგვიძლია, ყოველივეს, რასაც ჩვენი მიწა წარმოშობს, — ბამბას, პურს, ბოსტნეულს, ხორცს, მატყლსა და ხილს. ჩვენ ძალების დაუზოგავად ვმუშაობთ დილიდან გვიან ღამემდე. ყოველივე ამას ჩვენ ვაკეთებთ იმისათვის, რათა დავაჩქაროთ განადგურება წყეული მტრისა, რომელმაც ხელჰყო ჩვენი აყვავებული მინდვრები, ქალაქები და ჩვენი სიცოცხლე. როდესაც თქვენ ჰიტლერელებს ურტყამთ დონისა და ყუბანის ოქროს ველებში, კავკასიის მთების ძირას, უძველესი რუსული ქალაქის რჟევის კედლებთან, რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში, გახსოვდეთ: თქვენ იცავთ ჩვენს მშობლიურ ფერგანის ველსაც, ჩვენს უზბეკეთს! ჩვენ გაძლევთ მამობრივ განაწესს: არც ერთი ნაბიჯი უკან! მტკიცედ დაიცავით საბჭოთა მიწა-წყალი, იყავით მამაცი გმირები ბოლომდე, გამარჯვებამდე!

კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი დროშა!

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი

სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ-შაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! სამამულო ომის ვითარებაში კიდევ უფრო განმტკიცდა ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა. ამ მეგობრობის მძლავრი დემონსტრაცია იყო 23 აგვისტოს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისში შემდგარი ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი, რომელმაც მოგვიწოდა დავრაზმოთ მთელი ძალები ვერაგი მტრის შესამუსრავად, დავაჩქაროთ პირსისხლიან ფაშიზმზე ჩვენი გამარჯვება.

კაციჭამია ჰიტლერელებს ჩვენთვის მოაქვთ შიმშილი, გაჭირვება, მონობა და განადგურება. ამ ბარბაროსებს სწადიანთ ხელში ჩაიგდონ ამიერ-კავკასიის სიმდიდრეები, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, ჩვენი აყვავებული კოლმეურნეობები.

მაგრამ ეს არ მოხდება. პირსისხლიანი გერმანელი ფაშისტები — კოლმეურნე გლეხობის ეს უბოროტესი მტრები — განადგურებული იქნებიან. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხთა სტალინური მეგობრობა ურღვევია, როგორც სალი კლდე. დიდი ხანია ჩვენ გვაერთებს ძმობა და მეგობრობა. ამ გრძნობას უმღეროდნენ გამოჩენილი აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი საზოგადო მოღვაწენი. ამ მეგობრობის გრძნობით არის გამსჭვალული პოეტ ჰოვანეს თუმანიანის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ ვერავინ გაგვთელავს, ურღვევია ჩვენი კავშირი.

„არა! რუსთველის ოქროს სიტყვები
როდი ხმაურობს მჭლედ და დუნედ!
მის ამაყ არწივის ფრთებს ჩვენც მივყვებით,
ვერა გვძლევს ტანჯვა საუკუნეთა".

პოეტის ეს ძმური სიყვარულით გამთბარი სტრიქონები ჩვენი ხალხების მეგობრობის გამომხატველია.

ვერაგი მტრის განადგურება რომ დავაჩქაროთ, საჭიროა ზურგში თავდადებული მუშაობა. ჩვენი საყვარელი მამის, ჩვენი მასწავლებლისა და მეგობრის, დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განსახორციელებლად ჩვენ დაუღალავად ვმუშაობთ, რომ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას, ჩვენს ქვეყანას მივცეთ სულ უფრო და უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. დიდი სამამულო ომის დღეებში ჩვენმა კოლმეურნეობამ მუშაობა საომარ ყაიდაზე გარდაჰქმნა. სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები ზურგში გმირული შრომით სჭედენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას. წელს სახელმწიფოს უკვე ჩავაბარეთ 680.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და დამატებით ჩავაბარებთ 280.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, საშუალოდ ჰექტარზე — 4.200 კილოგრამს. გარდა ამისა, ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მივცემთ 9 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს, 120.000 კილოგრამ ტუნგოს ანუ შარშანდელზე ექვსჯერ მეტს. ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ 20 ცენტნერამდე მარცვლეულს, მეცხოველეობის განვითარების 1942 წლის გეგმას შევასრულებთ ვადაზე სამი თვით ადრე, სექტემბერში. ასევე ვადაზე 3 თვით ადრე შევასრულებთ ყველა სახელმწიფო ვალდებულებას — ჩავაბარებთ 4.400 კილოგრამ ხორცს, 1.100 კილოგრამ ყველს და სხვ.

თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდში წელს დათესილი გვაქვს 10 ჰექტარი. ამ ნათესებს საუკეთესოდ ვუვლით.

სტახანოველები ლიუდი ხურციძე, ჰუჰულა გობრონიძე, შურა კვაჭანტირაძე, მარო ბოლქვაძე, სოფიო ღელეყვა, გიორგი ტულუში, ეტიფანე გოგოტიშვილი, იაკინთე თავაძე, ვარდენ ნაკაიძე და სხვები ნორმებს ორმაგად, სამმაგად და კიდევ მეტად ასრულებენ, ყველაფერს აკეთებენ მტერზე გამარჯვებისათვის. ჩვენს კოლმეურნეობაში 467 სტახანოველია, მათ შორის 205 ომიანობის ვითარებაში გახდა სტახანოველი.

რამდენიმე წელია, რაც სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ეჯიბრება ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ-შაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობას. ამ შეჯიბრებამ საუკეთესო შედეგები მოგვცა. მივიღეთ თქვენი კოლექტიური წერილი. ჩვენ გავეცანით თქვენს მუშაობას სამამულო ომის დღეებში და გული სიხარულით გვევსება იმ თვალსაჩინო მიღწევების გამო, რომელიც თქვენ მოიპოვეთ მიუხედავად ომიანობით გამოწვეული სიძნელეებისა.

ვართ რა ჩაბმული სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოდით, ამხანაგებო, 1942 წელს, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების წელს, ახალი ძალით გავაგრძელოთ ჩვენს შორის შეჯიბრება, რომ დაძაბული შრომით მივცეთ ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას და ჩვენს ქვეყანას მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. მთელი ჩვენი ფიქრი, მისწრაფება, საქმე წარვმართოთ ერთი მიზნისაკენ — ყველაფერი დავუმორჩილოთ ვერაგი მტრის განადგურების ამოცანას და ისევე სახელოვნად ვიმუშაოთ ზურგში, როგორც გმირულად იბრძვიან ფრონტზე ჩვენი მამები, ძმები, შვილები. ჩვენი კოლმეურნეობიდან ფრონტზე გაწვეულნი: ორდენოსანი გრიგოლ ხურციძე, თეიმურაზ წითლიძე, ვალოდი ნაკაიძე და სხვები მამაცურად ებრძვიან მტერს და ეს ჩვენ აღგვაფრთოვანებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ჩვენი კოლმეურნეობა ქართველი **ხალხის** ერთგული შვილის ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** სახელს ატარებს. ამხანაგ ლ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენში მტკიცედ დაინერგა უძვირფასესი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები. ჩაი, ციტრუსები ჩვენი შეძლებულობის დაუშრეტელი წყაროა. წელს ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავალი 3.000.000 მანეთს მიაღწევს. ჩვენ კოლმეურნულ სიტყვას ვიძლევით, რომ ომიანობის ამ მრისხანე დღეებში კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიმუშავებთ და მით ჩვენი მილიონერი კოლმეურნეობა ღირსეულად ატარებს ამხანაგ ლ. ბერიას სახელს.

კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი დროშა. ხშირად გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი გამოცდილება საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ, ისე როგორც არასოდეს, დარაზმული ვართ **ლენინ-სტალინის** პარტიის, დიდი **სტალინის** გარშემო. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენ საკოლმეურნეო, საამური, ბედნიერი ცხოვრება მოგვანიჭა და მას არავის დავუთმობთ.

სიკვდილი გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს აყვავებულ საკოლმეურნეო მშენებლობას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, მხედართმთავარს, კოლმეურნეთა მეგობარს, ჩვენს მშობლიურ დიდ **სტალინს!**

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. **ბერიას** სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დავალებით: კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი **ვ. ჯაბუა**, პარტორგანიზაციის მდივანი **ა. თავაძე**, კომკავშირის კომიტეტის მდივანი **აგრაფინა ღელეყვა**, კოლმეურნეობის უფროსი აგრონომი **გ. ნაკაიძე**, ბრიგადირები: **ი. ხურციძე, ლ. ცერცვაძე, ვ. გორგილაძე, ლ. გოგოტიშვილი, დ. მახარაძე, ვ. თოიძე, ი. გუჯაბიძე, ნ. ღელეყვა**, რგოლის ხელმძღვანელები: **ლიუდი ხურციძე, ჩიტო მიმინოშვილი**, სტახანოველები: **დარეჯან ტაკიძე, დარიკო ქავჟარაძე, ჰუჰულა გობრონიძე, მარო ბოლქვაძე, ნინო ჯაბუა.**

ნატანების კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე

მახარაძე („კომუნისტის" სპეც. კორ.). ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მოწოდების პასუხად, 28 აგვისტოს შესდგა მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, რომელიც გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ჯაბუამ.

როგორც ვიცით, სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა სოცშეჯიბრებაშია ჩაბმული სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ-შაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობასთან. კრებამ განიხილა ფოქრ-შაღრიარის კოლმეურნეობის წევრთა წერილი, რომელშიაც მოთხრობილია, თუ როგორ ეხმარებიან ისინი ჩვენს სახელოვან წითელ არმიას.

კრებაზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ: უფროსი აგრონომი **გრ.** ნაკაიძე, აგრეთვე სტახანოველი კოლმეურნეები: ვ. გორგილაძე, დარეჯან ტაკიძე, ი. გუჯაბიძე და სხვ., რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა მტკიცე და ურღვევია, რომ ისინი ანტიფაშისტური მიტინგის მოწოდების პასუხად მხარდ დახმარებას გაუწევენ ფრონტს გერმანელი ფაშისტი მხეცების სრული განადგურებისათვის.

კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს ნატანებელ და ფოქრ-შაღრიარელ კოლმეურნეთა სოცშეჯიბრების უდიდეს მნიშვნელობას, იკისრეს ახალი ვალდებულებანი და პირობა დასდეს, რომ დიდი გადამეტებით შეასრულებენ საწარმოო დავალებებს.

დასასრულ კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მიმართვა — წერილი სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. ფოქრ-შაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისადმი.

უკანასკნელი ცნობები

კანადის საზოგადოებრიობა მომხრეა შეტევითი ოპერაციებისა დასავლეთ ევროპაში

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო (საკდესი). კანადის პროფკავშირთა გაერთიანების „ტრეიდ ენდ ლეიბორ კონგრეს ოფ კანადის" ყრილობამ მოიწონა რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს დაჩქარებით გაიხსნას მეორე ფრონტი ევროპაში. რეზოლუცია მოუწოდებს მობილიზებულ იქნას მუშახელი, მრეწველობა და ფინანსები, რათა რაც შეიძლება სრულად მიიღონ მონაწილეობა სამხედრო ღონისძიებებში. ასეთივე მოთხოვნებით გამოვიდნენ საავიაციო ქარხნების, ფოლადსამსხმელო მრეწველობის, საომარი მასალის ქარხნების მუშები, ფორტ უილიამის (ონტარიოს პროვინცია) პროფკავშირთა საბჭო და სხვა ორგანიზაციები.

ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმა ნიურნბერგსა და საარბრიუკენზე

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 28 აგვისტოს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა თავდასხმა მოახდინეს ნიურნბერგისა და საარბრიუკენის სხვადასხვა ობიექტებზე. ყველაზე სასტიკი იყო თავდასხმა ნიურნბერგზე — გერმანიის სამხედრო მრეწველობის დიდ ცენტრზე. ორივე ქალაქში ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ამ ოპერაციებიდან თავის ბაზაში არ დაბრუნებულა 30 ბომბდამშენი.

გამანადგურებელმა ავიაციამ თავდასხმა მოახდინა ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროზე.

ამერიკის ავიაციის ბომბდამშენებმა „მფრინავმა სიმაგრეებმა" 28 აგვისტოს ბომბები დააყარეს საავიაციო ქარხანას ალბერის მახლობლად.

მტრის თვითმფრინავებმა გუშინ ბრისტოლი დაბომბეს. გამოწვეულია ერთგვარი მატერიალური ზარალი.

საჰაერო განგაში ბაზელსა და ციურიხში

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 28 აგვისტოს ღამით ბაზელსა და ციურიხში გამოცხადებულ იქნა საჰაერო განგაში.

ლორდ მოინის დანიშვნა სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ლორდი მოინი დანიშნულია სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ ახლო აღმოსავლეთში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 აგვისტოს დილის ცნობა

28 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ქალაქ რჟევის გარეუბნებში, კლეტსკაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით, სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით, კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, აგრეთვე პროხლადნის, მოზდოკის რაიონებში და კრასნოდარის სამხრეთით მდებარე რაიონში.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ბარენცის ზღვაში ჩვენმა ხომალდებმა ჩაძირეს მტრის ორი ტრანსპორტი 12.000 ტონა საერთო წყალწყვისა.

• • •

სტალინგრადის ჩრდილოეთ - დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე სატანკო იერიში, კონტრიერიშზე გადავიდნენ და შეავიწროვეს ჰიტლერელები.

ამ ბრძოლაში გერმანელებს წაართვეს 12 ქვემეხი, 24 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალა. სხვა უბანზე გრძელდებოდა სასტიკი ბრძოლები მტრის იმ ტანკებსა და მოტოქვეით ჯართან, რომლებიც ჩვენი თავდაცვის სიღრმეში შემოიჭრნენ. ამ ბრძოლების მსვლელობაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა კვლავ დიდი ზარალი ნახეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

• • •

კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ერთი ჩვენი ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის იერიში. მოსპობილია გერმანელთა 2 ტანკი და 150 ჰიტლერელი.

• • •

კრასნოდარის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა მაღლობ ნ-ისათვის ბრძოლებში გაანადგურეს გერმანელთა 97-ე მსუბუქი ქვეითი დივიზიის 204-ე პოლკი. დაზიანებულია 6 ტანკი და გაჟლეტილია მტრის რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე მეზღვაურმა ნაღმტყორცნელებმა, ამხ. კონსტანტინოვის მეთაურობით, ნაღმსატყორცნის ცეცხლით 100-ზე მეტი ჰიტლერელი გასწყვიტეს.

პროხლადნის რაიონში გრძელდებოდა ბრძოლები, რომელთა მსვლელობაშიც მოსპობილია გერმანელთა 3 ტანკი და მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

• • •

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ქვეგანაყოფები უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს, რომელიც ცდილობდა უკან დაებრუნებინა მის მიერ დაკარგული ზღუდეები. ამ ბრძოლების მსვლელობაში დაზიანებულია გერმანელთა 2 ტანკი, მოსპობილია 3 ქვემეხი, 17 დაზგის ტყვიამფრქვევი და მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები.

• • •

საბჭოთა პატრიოტი პარტიზანი ქალი ნინო კოროვკო, რომელიც საბრძოლო დავალებას ასრულებდა, ქალაქ ნეველის ახლოს გერმანელმა ფაშისტმა ბანდიტებმა შეიპყრეს. ჰიტლერელებმა, რომლებიც ცდილობდნენ მიეღოთ მისგან ცნობები პარტიზანების შესახებ, მხეცურად აწამეს ნინო კოროვკო, შემდეგ კი ჩამოახრჩეს. საბჭოთა სამშობლოს სახელოვანმა შვილმა მტკიცედ გადაიტანა მთელი ტანჯვა-წამება და სიკვდილის წინ ფაშისტ არამზადებს განუცხადა: „მე დღეს სამშობლოსათვის მოვკვდები, მაგრამ ხვალ თქვენ ყველანი მოსპობილ იქნებით. გაუმარჯოს პარტიზანებს!“

• • •

ჩრდილოეთ კავკასიაში მტრის ზურგში მოქმედი პარტიზანები დიდ ზარალს აყენებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ. პარტიზანები დღითიდღე სულ უფრო წარმატებით მოქმედებენ მტრის კომუნიკაციებზე. პარტიზანთა ერთ რაზმთან საბრძოლველად გერმანელებმა რუმინელთა პოლკი გამოიყვანეს. რუმინელმა მეომრებმა პარტიზანებთან ბრძოლებში 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს და უკან დაიხიეს. პარტიზანებმა ხელთ იგდეს იარაღი და საომარი ქონება.

• • •

გერმანელთა 209-ე ქვეითი პოლკის ჯარისკაცს ვილი შტრაუხს, რომელიც მოკლულ იქნა ლენინგრადის ფრონტზე, უპოვნეს მისი ცოლის წერილი ქალ. კენიგსბერგიდან. წერილში ნათქვამია: „შენ ალბათ უკვე გაიგონებდი, რომ ჩვენმა ქალაქმა რუსების საჰაერო თავდასხმა განიცადა. არც კი შემიძლია გიამბო, თუ რა მოხდა აქ. ყოველ შემთხვევაში საშინელი ამბები ხდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ რუსებმა მეორე თავდასხმა მოახდინეს. ნერვები მთლად მომეშალა. ახლა ლოგინში ვწევარ, მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ ისინი ერთხელ კიდევ მოფრინდნენ?“

• • •

გერმანიის ქალაქების ქუჩებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ანტიფაშისტური ლოზუნგები. ქალაქ დიუსელდორფის ერთ-ერთ ქუჩაზე ღამით სახლის კედელზე საღებავით წარწერილი იყო: „ძირს ჰიტლერი“, „რაინმეტალის“ საწარმოს კარებზე უცნობებმა წააწერეს: „ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა, ამიტომ ვმუშაობთ ნელა. სიკვდილი ჰიტლერს, დასასრული ომს“. გესტაპომ ბევრნი დააპატიმრა.

29 აგვისტოს საღამოს ცნობა

29 აგვისტოს განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

• • •

28 აგვისტოს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 20-მდე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 100-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს საველე და საზენიტო არტილერიის 8 ბატარიის ცეცხლი, ააფეთქეს საომარი მასალის 3 საწყობი და საწვავის 2 საწყობი, დაამსხვრიეს 2 სარკინიგზო ეშელონი, გაფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ბატალიონნახევრამდე ქვეითი ჯარი.

• • •

კალინინის ფრონტზე ნ შენაერთმა გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლია, წყლის ერთი ზღუდე გადალახა, მოწინააღმდეგის კონტრიერიშები მოიგერია და წინ წაიწია. დღის განმავლობაში ჩვენი მებრძოლების მიერ მოსპობილია 7 ტანკი და გაჟლეტილია 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 22 ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა.

• • •

სტალინგრადის ჩრდილოეთ - დასავლეთით მდებარე რაიონში გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. მოწინააღმდეგე ანგარიშს არ უწევს უდიდეს ზარალს და იერიშები მოაქვს ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა ჯარები მტრის მოძალებას აკავებენ და კონტრდარტყმებს აყენებენ მას. ნ სატანკო ქვეგანაყოფმა ჰიტლერელთა იერიშები მოიგერია, მოსპო 4 ტანკი და 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა და ბრძოლაში გამოიყვანა დიდძალი ტანკი და მევატომატე. ჩვენმა მებრძოლებმა მტრის ხუთი იერიში მოიგერიეს და მოსპეს გერმანელთა 13 ტანკი, 10 ავტომანქანა, 3 ქვემეხი და ერთი ასეული ქვეითი ჯარი.

• • •

კლეტსკაიას რაიონში ჩვენმა შენაერთმა დაამარცხა იტალიელთა მე-2 ქვეითი დივიზია. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 550 ტყვე, 8 ქვემეხი, 63 ტყვიამფრქვევი, 34 ნაღმსატყორცნი, 650.000 ვაზნა, 698 ყუთი ნაღმებიანად, 15 სატვირთო ავტომანქანა, 3 რადიოსადგური და სხვა საომარი ქონება. მტერთან ბრძოლაში გვარდიის წითელარმიელმა ამხ. რეპნინმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით 4 ტანკი დააზიანა და გვარდიის სერჟანტმა ბულანოვმა მტრის 3 ტანკი მოსპო.

• • •

კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ. იმ ნაწილის მებრძოლებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ტოლბუხინი, დააზიანეს გერმანელთა 12 ტანკი და მოსპეს მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი. მტერთან ბრძოლაში თავი გამოიჩინეს სერჟანტ რიბნიკისა და უფროს სერჟანტ ზაბროდინის ჯავშანსატეხელთა გუნდებმა, რომლებმაც გერმანელთა სამ-სამი ტანკი მოსპეს. პოლიტხელმა ბაჩურინმა ქვემეხის პირდაპირი დამიზნებით მოსპო გერმანელთა 4 ტანკი. თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩვენმა მებრძოლებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 5 თვითმფრინავი.

• • •

კრასნოდარის სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ. ნ ნაწილმა გერმანელთა ორი იერიში მოიგერია. ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგემ დასტოვა 5 დამწვარი ტანკი და ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდძალი გვამები.

მოზდოკის რაიონში ჩვენი ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ტანკებსა და მოტოქვეით ჯართან. ჩაშლილია ჰიტლერელთა ცდა წყლის ზღუდეზე გადმოსვლისა.

• • •

სმოლენსკელ პარტიზანთა ჯგუფმა ააფეთქა მტრის სამხედრო მატარებელი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 6 პლატფორმა ტანკებიანად, 16 პლატფორმა ავტომანქანებიანად და 4 ვაგონი ჯარისკაცებიანად.

• • •

რჟევთან გერმანელთა ნაწილის განადგურებისას სხვა დოკუმენტთა შორის ნაპოვნია „ბარათი 53-ე მოტოპოლკის მე-2 ბატალიონის საბრძოლო შემადგენლობის რაოდენობისა“. ამ დოკუმენტში ნაჩვენებია, რომ ბატალიონში 10 აგვისტოსათვის იყო 760 კაცი, მათ შორის 28 ოფიცერი და 143 უნტერ-ოფიცერი. 18 აგვისტოსათვის ბატალიონმა მოკლულთა სახით დაჰკარგა 18 ოფიცერი, 81 უნტერ-ოფიცერი და 471 რიგითი ჯარისკაცი, სულ 570 კაცი.

• • •

უნგრელთა მე-9 დივიზიის მე-17 ქვეითი პოლკთან შეერთებული მზვერავი საკავალერიო ასეულის ტყვე ჯარისკაცმა ლასლო ფიტამ გვიამბო: „ჩვენი ასეული გაგზავნილი იყო პარტიზანებთან საბრძოლველად კურსკის რაიონში. მაგრამ პარტიზანები მოუხელთებელნი აღმოჩნდნენ. ისინი თავს დაგვესხმოდნენ და უეცრად გაჰქრებოდნენ ხოლმე. პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში რომ უძლურნი აღმოვჩნდით, ასეულის უფროსმა ბარონმა კაროლ ბალინტმა შეუდგა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ანგარიშის გასწორებას. მისი ბრძანებით ჯარისკაცებმა დააპატიმრეს და წამებით სიკვდილის პირას მიიყვანეს 6 რუსი ქალი. გადასწვეს რამდენიმე სოფელი. ივლისის დამდეგს ასეულის მეთაურმა პარტიზანებად გამოაცხადა ორი გლეხი და რამდენჯერმე ესროლა მათ რევოლვერი. გლეხები კიდევ ცოცხლები იყვნენ, მაგრამ ბარონის ბრძანებით ისინი მიწაში დამარხეს“.

• • •

კალინინის ოლქის გერმანელ დამპყრობთაგან ახლა განთავისუფლებულ სოფელ ნიკოლსკოეს მცხოვრებლებმა ნ. ფ. სტულოვამ, დ. პ. ივანოვამ და მ. ი. ბელიაევამ გვიამბეს ფაშისტი ბანდიტების სისხლიან ბოროტმოქმედებათა შესახებ. „ჩვენს სოფელში,—გვაცნობეს მათ,—გერმანელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა მოსახლეობას წაართვეს ყველა ნივთები და პროდუქტები. ოკუპაციის განმავლობაში ათობით ქალი, ბავშვი და მოხუცი შიმშილით მოკვდა. ბევრი კოლმეურნე გერმანელებმა აწამეს, ჩამოახრჩეს და დახვრიტეს. მხოლოდ 7 ივლისიდან 5 აგვისტომდე ჰიტლერელმა ყაჩაღებმა 300 მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე მოჰკლეს“.

• • •

ფრინკელის ქარხანაში (ბერლინი) მომუშავე უცხოელ მუშებს დღის განმავლობაში ეძლევათ ნატეხი პური და ნახევარი ლიტრი წვენი, რომელიც მომზადებულია გაუფცქვნელი დამპალი კარტოფილისაგან. ამ სალაფავისათვის ისინი ვალდებული არიან 16 საათს იმუშაონ დღე-ღამეში. ამას წინათ მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ქარხანაში მოსულმა გესტაპოელთა რაზმმა წაიყვანა მუშათა ერთი ჯგუფი, რომელთა შესახებ მას შემდეგ არავითარი ცნობა არ არის.

ხმები გესტაპოელთა მიერ უნგრეთის ვიცე-რეგენტის ჰორტის მოკვლის შესახებ

ჟენევა, 29 აგვისტო (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, მთელს უნგრეთში დიდი ღელვებაა ჰორტის ვაჟის, უნგრეთის ვიცე-რეგენტ იშტვან ჰორტის დაღუპვის შესახებ ოფიციალური ცნობის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ოფიციალური ვერსია იუწყება, რომ იშტვან ჰორტი მოკლულია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. მაგრამ ბუდაპეშტში გავრცელებულია აზრი, რომ ვიცე-რეგენტი გესტაპოელთა აგენტებმა მოჰკლეს. იუწყებიან, რომ ამ მკვლელობას პოლიტიკური ხასიათი აქვს და იგი განხორციელებულია ჰიტლერის ბრძანებით. იშტვან ჰორტი ჯერ კიდევ ვიცე-რეგენტის პოსტზე მის დანიშვნამდე და თვით უკანასკნელ დრომდე ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია გერმანიის იმ დაუსრულებელ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, რომლებიც გერმანიისათვის ჯარის სულ ახალ-ახალი კონტინგენტების მიწოდებას შეეხებოდა. იშტვან ჰორტი ვიცე-რეგენტად დანიშნულ იქნა გერმანელთა სურვილის წინააღმდეგ, რომლებიც ამ პოსტზე დასანიშნავად ვარაუდობდნენ მათდამი უფრო გამგონეს და მორჩილ ჰერცოგ ალბრეხტს. ამას წინათ იშტვან ჰორტი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაემგზავრა, სადაც დარწმუნდა, რომ გერმანელები უნგრელ ჯარისკაცებს ისე ეპყრობიან, როგორც საზარბაზნე ხორცს. უნგრელთა ჯარების ზარალმა, ინფორმირებულ პირთა ცნობით, შეაძრწუნა ჰორტი და ბუდაპეშტს დაბრუნებისას მან უფრო გადაჭრით გაილაშქრა ფრონტზე უნგრელთა ნაწილების შემდგომი გაგზავნის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, გესტაპოს აგენტებმა ბუდაპეშტში მითითება მიიღეს მალე „გაექროთ“ ჰორტი, რაც განხორციელებულ იქნა იმ დროს, როცა იგი ხელმეორედ გაემგზავრა ფრონტზე საინსპექციო მიზნებით.

სტამბოლი, 29 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „თურქი“ ათავსებს თავისი რედაქტორის ბაიკურტის სტატიას ჰორტის ვაჟის სიკვდილის უცნაურ გარემოებათა შესახებ.

ავტორი იუწყება, რომ, მიღებული ცნობებით, ბუდაპეშტში ფართოდ არის გავრცელებული ხმები გერმანელების მიერ ჰორტის ვაჟის მოკვლის შესახებ და იმის შესახებ, რომ ჰიტლერს განზრახული აქვს ლიკვიდაცია უყოს უნგრეთში არსებულ რეჟიმს, ისე, რომ საბოლოოდ გადააქციოს იგი გერმანიის უბრალო კოლონიად. უნგრეთის მთელ რიგ ქალაქებში მოხდა დემონსტრაციები მოსახლეობისა, რომელიც პროტესტს აცხადებს ჰიტლერის დამპყრობლურ განზრახვათა წინააღმდეგ. პოლიციამ მრავალი დააპატიმრა დემონსტრაციის მონაწილეთაგან. იმავე ცნობებით, ჰორტის სიკვდილის ორი დღის შემდეგ რეგენტმა მიიღო ჰიტლერის პირადი წერილი, რომელიც, როგორც ამბობენ, პოლიტიკურ მოთხოვნებს შეიცავს.

25 წითელფლოტელის უმაგალითო გმირობა

(„კრასნი ფლოტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ვაგონებში, სადგურებზე მატარებელთა მოლოდინში უმეგობრდა 25 შავზღვეელი. ისინი ჰოსპიტლებიდან ბრუნდებოდნენ თავიანთ ნაწილებში. ისინი მრავალ რაიონში იბრძოდნენ მტერთან. მენაღმე ივანე ნიკულინი, მაგალითად, იყო დნესტრზე, იცავდა ოდესას, ხერსონს, ყირიმს. ერთ სადგურზე, როცა პირს იბანდა, ნიკულინმა პერანგი გაიძრო. საპატიო, ბრძოლაში მიღებულ ჭრილობათა ნაწიბურები ჰფარავდა მის სხეულს.

— ძალიან დაუჩეხნიხართ, ძმაო!—უთხრა კომენდორმა ფილიპე ხარჩენკომ.

— და მეც ცოტა როდი დამიმარხავს ქვეწარმავლები,—მიუგო ნიკულინმა.—მაგრამ ანგარიში დახურული როდია, რაკი ცოცხალი ვარ...

— თვითონაც აგრე ვფიქრობთ.

ბრძოლებში მიღებული მრავალი ჭრილობით გამოწვეული ტკივილი, საშინელი ამბები მტრის მიერ დაკავებული მშობლიური კუთხეებიდან აღვივებდნენ სიძულვილს, მოუწოდებდნენ შურისძიებისაკენ. შურისძიებისაკენ ულმობლად, სანამ მკლავში ძალაა, სანამ თვალი მტერს ხედავს.

მეტყვიამფრქვევე ზახარ ფომიჩევმა ჰოსპიტალში ცოლისაგან წერილი მიიღო. ბევრჯერ წაუკითხავს ეს წერილი თავის მეგობრებს წრეში, რათა იმათაც გაეგოთ ის ტკივილი, რომელიც გულს უკაწრავდა მას, გაეგოთ მრისხანება, რომელიც სისხლში უდუღდა.

„ჩემო ძვირფასო, თვალისჩინო, ზახარ! გწერ და ცრემლებად—ცხარე ცრემლებად ვიღვრები. მე სამუდამოდ ვარ დასახიჩრებული, ჩვენი ბავშვები კი ქსიუშა და კოლკა ცივ სამარეში წვანან. გერმანელებმა ჩვენი სოფელი დაიკავეს, ქოხი დაგვიწვეს, ხაბაკი გაიტაცეს, ტანკებით გასთელეს ალუბლის ბაღი და შენი საყვარელი ვაშლის ხე. მერე რა კარგად ჰყვაოდა იგი წელს და შენთვის უნდა მოეძღვნა მწიფე ნაყოფი ხანგრძლივი მოვლისა და შრომისათვის. საზიზღარმა მხეცებმა წაგვართვეს უკანასკნელი ლუკმა პური, წაიყვანეს ძროხა, ღორი და თხები. არ დაგვიტოვეს არც ერთი ფრთა ქათამი და ბატი. მერმე ოფიცერი მოვიდა და გადამეკიდა. ამის მოთმენა უკვე ვეღარ შევძელ და დრუნჩში გავარტყი. არ მახსოვს როგორ, მაგრამ გაისმა სროლის ხმა, და იატაკზე სისხლში დავინახე ჩვენი პატარა შვილი კოლენკა.

შიგნით თითქოს ყველაფერი ჩამწყდარ, საშინელი ხმით დავიყვირე. ხელებით ყელში ვწვდი მხეცს და დახრჩობა დავუწყე! მან ჩექმიანი ფეხი მკრა და განზე გადამაგდო. სროლის ხმაზე მოცვივდნენ ჯარისკაცები, და დაიწყო საშინელი ანგარიშის გასწორება. ისინი გვწამებდნენ მე და ჩვენს პატარა გოგონა ქსიუშას, შემდეგ კი ქოხში გამოგვკეტეს და ცეცხლი წაგვიკიდეს. ცეცხლიდან პარტიზანებმა გამომიყვანეს. ბავშვები დაიწვნენ. და აი ახლა, მეც დაშავებული და ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი, ვწევარ და ვკვდები. სასურველო, საყვარელო, ძვირფასო ზახარ! გახსოვდეთ, სადაც უნდა იყო. გახსოვდეთ და შური იძიე. ულმობლად ანადგურე ფაშისტი მხეცები. სამაგიერო მიუზღე, საყვარელო, ჩვენთვის—ჩემთვის, კოლენკასთვის, ქსიუშასთვის, ყველასათვის...“.

მეზღვაურები ფრონტს უახლოვდებოდნენ. გზებში დღისით და ღამით ჰქრიალებდნენ საზიდრები და მტრის კორიანტელს აყენებდნენ. ნამტირალევი ქალები, მოხუცები, დატანჯული სახის ბავშვები მშობლიური ადგილებიდან გამოქცეოდნენ შემომტევ ჰიტლერელ მკვლელებსა და მძარცველებს და სამხრეთისაკენ მიდიოდნენ. მეზღვაურები მდუმარედ უცქერდნენ ადამიანებისა და საზიდრების ქარავნებს.

სიკვდილით, მხოლოდ სიკვდილით შეუძლია მტერს ზღოს ამ უდანაშაულო ადამიანთა ცრემლები და მწუხარება. ასეთ წუთებში გვნატრებოდა, რათა მატარებელი უფრო ჩქარა წასულიყო, რათა გამოჯანსაღებულ მკლავს მალე შესძლებოდა ეგრძნო სიმძიმე გრანატისა, ხიშტისა, ავტომატისა...

უეცრად მატარებელი, რომლითაც მეზღვაურები ფრონტზე მიდიოდნენ, მკვეთრად დამუხრუჭდა და შესდგა. მატარებლიდან ხუთ მეტრზე რელსები გათავდა. იქით გზა აყრილი იყო.

ივანე ნიკულინმა თბილანიდან გაიხედა. პატარა ტყიდან ფაშისტები გამორბოდნენ და ისროდნენ.

— ძმებო, გერმანელები!

— როგორ მოვიქცეთ?—გაისმა შეშფოთებულ მებრძოლთა ხმა.

— ვიბრძოლებთ!—მიუგო მენაღმემ.

— მერე რით? თოფი რამე მაინც გვქონდეს და წყვილი გრანატი!

— ვიშოვნით!

ნიკულინი კარის ღრეჩოს მოშორდა და ჰკითხა:

— ყველანი მიცნობთ?

— ყველანი!

— მენდობით?

— გენდობით.

— მაშ გიბრძანებთ: დაწექით—და კრინტი არ დასძრათ!

მებრძოლები გაიტრუნენ. შესწყდა სროლაც. ისმოდა მხოლოდ, თუ როგორ ფუსფუსებდნენ გერმანელები მატარებლის ახლოს. არახუნებდნენ ვაგონების კარებს. ოფიცერი ჩახლეჩილი ხმით იძლეოდა განკარგულებებს. ვაგონებში საომარი მასალები ეწყო. ამ მასალებს ფრონტი ელოდა. მეზღვაურები ფიქრობდნენ: როგორ გადავარჩინოთ სარკინიგზო შემადგენლობა?

გერმანელები მეზღვაურთა ვაგონს უახლოვდებოდნენ.

— როგორც კი ვაგონის კარს გააღებენ, თავზე დაახტით ქვეწარმავლებს და დაახრჩეთ ხელით,—უბრძანა ნიკულინმა.—ვინც იარაღს ჩაიგდებს ხელში, წინ წადგეს და დასცხოს სხვა ფაშისტებს.

კარი გაიღო და თბილანში რამდენიმე ჰიტლერელი შევიდა.

წითელფლოტელებმა დანებითა და მუშტებით მოუღეს ბოლო პირველ რვა ბანდიტს.

ნადავლი ავტომატებითა და გრანატებით შეიარაღებულმა ივანე ნიკულინმა სხვა მებრძოლთა ჯგუფთან ერთად კიდევ 17 ჰიტლერელი დასცა. მკვდარ გერმანელებთან მიცოცავდნენ მეზღვაურები, რომელთაც იარაღი არა ჰქონდათ, — ისინი ბრძოლაში ებმებოდნენ. რამდენიმე დაზგის ტყვიამფრქვევის საფარველით, რომლებიც გააფთრებით ისროდნენ ტყიდან, ჰიტლერელებმა იწყეს მატარებლიდან წასვლა. ორთქლმავლისკენ რომ მიდიოდა, მემიზნე ვასილ კრილოვმა შენიშნა გერმანელ მევატომატეთა ჯგუფი, რომლებიც ორი ტყვიამფრქვევიანად შეხტნენ რკინის ღია პულმანში. ჰიტლერელები აპირებდნენ ზურგში დაერტყათ მეზღვაურებისათვის. კრილოვი პულმანს მიეპარა, გრანატი ესროლა, ხოლო შემდეგ ვაგონში შეხტა. სამი გერმანელი ნაკუწ-ნაკუწად იქცა, ოთხი მძიმედ დაჭრილი იყო, ორი კი, შიშით სახეშეცვლილი, მაღლახელაწეული იდგა. მათ ახლოს ეწყო 7 ავტომატი, 2 ვარგისი ტყვიამფრქვევი და ბევრი ვაზნა. ვასილმა დაუძახა მის დასახმარებლად გამოქცეულ ფომიჩევსა და ჟუკოვს. მან სწრაფად დასდგა პულმანზე ორივე ტყვიამფრქვევი და ზუსტი ცეცხლით ჩააჩუმა ტყეში მდგარი გერმანელთა ტყვიამფრქვევები. 20 წუთის შემდეგ ბრძოლა მიწყნარდა. მტრის ბანდა განადგურებულ იქნა.

მატარებლის ბრიგადასთან ერთად მეზღვაურებმა აღადგინეს დანგრეული გზა. მათ ეხმარებოდნენ მახლობელი სოფლის კოლმეურნეები. შუადღისას მატარებელი დანიშნულებისამებრ წავიდა. პატაკით, რომელიც დაჭრილმა მემანქანემ უბეში დამალა, ივანე ნიკულინი მახლობელი სადგურის სამხედრო კომენდანტს ატყობინებდა:

„ავარაკ კ-ში მტერმა საჰაერო დესანტი ჩამოსხა. 12 საათსა და 40 წუთზე გერმანელები, რომელთაც რკინიგზის ლიანდაგი ააფეთქეს, ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ეშელონი საომარ მასალიანად. ჩემმა რაზმმა დახოცა 68 მევატომატე, 12 ტყვედ წამოიყვანა, დანარჩენები ჭალაში დაიმალნენ. ზარალი არ მომსვლია. იარაღით უზრუნველყოფილი ვარ. განვაგრძობ მტრის დევნას“.

გამანადგურებელმა რაზმმა მენაღმე ივანე ნიკულინის მეთაურობით საბრძოლო მუშაობა დაიწყო. რაზმის კომისარი გახდა კომუნისტი ვასილ კლევცოვი. მას ბრძოლაში თავი მამაცურად და უშიშრად ეჭირა. მის პირად ანგარიშზე უკვე ითვლებოდა 7 მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 4 დაჭრილი და 7 ტყვედ წამოყვანილი.

საღამოს ტყვე ფაშისტებმა საჰაერო დესანტის დაშვების ადგილი უჩვენეს. ხევში მეზღვაურებმა იპოვნეს 106 პარაშუტი, ყუთები საომარ მასალიანად, 8 დაზგის ტყვიამფრქვევი, მრავალი გრანატი, რაკეტი და 2 სალაშქრო რადიოსადგური.

უეცრად ჰაერში გამოჩნდა გერმანელთა მზვერავი თვითმფრინავი. იგი ძალიან დაბლა დასტრიალებდა თავს ტყეს, ალბათ რაღაც სიგნალებს ელოდა. რაზმის მეთაურმა და კომისარმა ბრძანეს გაეფინათ დასაშვები ნიშნები, რომლებიც პარაშუტებთან ერთად იპოვნეს. მზვერავმა თვითმფრინავმა ორი წრე კიდევ გააკეთა და დასავლეთისკენ გაფრინდა, ხოლო იქიდან „იუ-52-ს“ რგოლი გამოჩნდა.

მეზღვაურები ოთხ ჯგუფად გაიყვნენ თითოეული 6 კაცის შემადგენლობით და დასაშვები ნიშნების გარშემო პოზიციები დაიკავეს. პირველი „იუნკერსი“ მიწას შეეხო და პირდაპირ იმ ზვინთან მიგორდა, სადაც საფარში იჯდა ივანე ნიკულინი. ტყვიამფრქვევის სამმა ზუსტმა ჯერმა, რომლებიც „იუნკერსს“ პირდაპირ ესროლეს, ცეცხლი წაუკიდა მოტორებსა და სიბრტყეებს. თვითმფრინავიდან პანიკით შეპყრობილი ფაშისტები გადმოცვიოდნენ და, მეზღვაურთა მარჯვე ცეცხლით მოთიბულნი, იქვე ეცემოდნენ.

გამარჯვება უზრუნველყოფილი სჩანდა. მაგრამ უეცრად... თვითმფრინავს ტანკი მოშორდა. მუხლუხებს ტკაპუნით უახლოვდებოდა იგი ზვინებს, გრიგალისებურად ისროდა ქვემეხსა და ტყვიამფრქვევებს. ოდნავი შეყოვნება და მეზღვაურები გასრესილ იქნებოდნენ. ნიკულინი წინ გამოვარდა და გრანატების კონა ისროლა. კონა მარჯვენა მუხლუხს მოხვდა, ტანკი დატრიალდა და დადგა. გრანატთა მეორე კონა საქვემეხე კოშკურას მოხვდა, კოშკურა ჩაჩუმდა.

ამ დროს გაცხარებული შეტაკება ხდებოდა კომისარ ვასილ კლევცოვის უბანზეც. მეორე „იუნკერსს“ დაშვებისთანავე მეზღვაურებმა შასი გადაუტეხეს და თვითმფრინავი გვერდზე დაეცა. ძლიერი დაჯახებით ტანკის საქვემეხო კოშკურა გაიჭედა და მფრინავები დაიღუპნენ. მაგრამ ზოგიერთმა ფაშისტმა მაინც მოახერხა კაბინიდან [illegible] და ცდილობდნენ სხვებისთვისაც მიეცათ საშუალება თვითმფრინავიდან გადმოსვლისა. კლევცოვმა წითელფლოტელებს კონოვალოვსა და სერებრიაკოვს უბრძანა „იუნკერსი“ აეფეთქებინათ. მებრძოლები თვითმფრინავთან მივიდნენ, მაგრამ დახოცილ იქნენ. მაშინ კომისარმა გადასწყვიტა თვითონ შეესრულებინა ამოცანა. იგი პლასტუნურად გადაცოცდა ბორცვზე და მიზნისაკენ გაემართა. გერმანელ მედესანტეთა ტყვიებმა ქუდი მოჰგლიჯეს, საველე ჩანთა მოსწყვიტეს, ბუშლატი რამდენიმე ადგილას გაუხვრიტეს, ორმა ტყვიამ მარცხენა მხარი აუწვა, ორი კი ფეხებში მოხვდა. კლევცოვი გრძნობდა, რომ ყოველ წუთობით ძალა ეკარგებოდა, მაგრამ ხელს არ უშვებდა გრანატებსა და რევოლვერს და წინსვლას განაგრძობდა.

სასცხით დაწვილდა. რამდენიმე მეტრზე კომისრის წინ აჩრდილი გაკრთა. კლევცოვმა რევოლვერის ჩახმახს გამოსწია, ფაშისტი მიწას დაენარცხა. შემდეგ გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. ღამის წყვდიადში ავარდა ცეცხლის შადრევანი „იუნკერსის“ ნამსხვრევებიანად და ჰიტლერელთა გვამებიანად. კომისარმა თვითმფრინავი ააფეთქა და თვითონაც დაიღუპა.

სხვანაირად განვითარდა მოქმედება ზახარ ფომიჩევისა და ნიკოლოზ ჟუკოვის ჯგუფებისა. გერმანელთა მესამე სატრანსპორტო თვითმფრინავის ეკიპაჟი მიხვდა, ბრძოლა უიმედოაო, და სრული შემადგენლობით დანებდა ტყვედ.

დილით ასაფლავებდნენ კომისარ კლევცოვს და მებრძოლებს კონოვალოვსა და სერებრიაკოვს. სამარესთან მჭიდრო რკალად იდგნენ მეზღვაურები. ლაპარაკობდა მეთაური:

ჩვენ ბრძოლაში ჩავებით ხელცარიელნი, გერმანელებს მარტო მუშტით ვებრძოდით. მაგრამ გავიმარჯვეთ. ახლა ჩვენ იარაღი გვაქვს. მაშ ვაიძულოთ ფაშისტები ასობით თავიანთი თავით ზღონ ჩვენი სამი გმირის სიკვდილი.

გადიოდა დღეები. ჩვენს ძირითად ძალებს მოწყვეტილი რაზმი ივანე ნიკულინისა იზრდებოდა და მტკიცდებოდა. იქ მიდიოდა ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ვისთვისაც სამშობლო ძვირფასი იყო. გმირ მეზღვაურებთან მივიდა კიდევ 200 მებრძოლი, რომლებიც ყველაფრისათვის მზად იყვნენ მტერთან ბრძოლაში. ისინი ანადგურებდნენ გერმანელთა ზურგს, ულმობლად სპობდნენ ჰიტლერელ მხეცებს.

რაზმი რომ თავისიანებთან ბრუნდებოდა, წააწყდა მტრის დიდ შენაერთს, რომელიც მდინარის გადასალახავად ემზადებოდა. მეზღვაურებმა გადასწყვიტეს ჩაეშალათ ფაშისტთა ოპერაცია და, მიუხედავად ძალთა უთანასწორობისა, ბრძოლა გამართეს. გერმანელებმა მცირე რაზმის წინააღმდეგ არტილერია და ბევრი ტანკი გამოუშვეს. რაზმის ცენტრისაკენ, სადაც ივანე ნიკულინი იმყოფებოდა, 10 მძიმე მანქანა მოჰქროდა. ისინი ლენტივით მოდიოდნენ ვიწრო დაბლობში. მენაღმე ივანე ნიკულინმა უკვდავი საგმირო საქმე ჩაიდინა. გრანატები შემოირტყა და წამყვან ტანკქვეშ შევარდა. მანქანა აფეთქდა. მას დაეჯახნენ უკანანი და ერთმანეთში შეიჭრნენ. ტანკებიდან გადმომხტარი ეკიპაჟები ტყვიამფრქვევის ცეცხლით იქნენ მოსპობილნი.

მეზღვაურთა მეთაურობით ჯგუფი სწორედ დღე-ღამის განმავლობაში ეწეოდა ბრძოლას ფაშისტთა მთელი შენაერთის წინააღმდეგ. საბჭოთა მეომრები რამდენჯერმე გადადიოდნენ კონტრიერიშზე, იბრძოდნენ გულადად, მამაცად, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. გმირთა სიკვდილით დაიღუპა ამ ბრძოლაში 22 მეზღვაური-შავზღვეელი. თითოეულ მათგანს უბეში ჰქონდა სტალინის პორტრეტი და ბარათი: „მოვკვდე კომუნისტად“. მათ ბოლომდე შეასრულეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე.

ივან ნიკულინ, ვასილ კლევცოვ, ფილიპ ხარჩენკო, ზახარ ფომიჩევ, ვასილ კრილოვ, ნიკოლოზ ჟუკოვ, კონოვალოვ და სერებრიაკოვ! სამშობლო არ დაივიწყებს თქვენს საგმირო საქმეს! იგი გაიგებს თქვენი 17 ამხანაგის სახელს, რომლებიც თქვენთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ და რომლებიც ჯერ კიდევ უცნობი არიან. ხალხი თქვენს საქებრად სიმღერებს შესთხზავს, და საბჭოთა ყუბანი, ჰიტლერელთა ბანდებისაგან გაწმენდილი, კვლავ აყვავდება საკოლმეურნეო პურის მინდვრებით. ხელახლა აშენებულ სტანიცებსა და სოფლებში, თავისუფალ, ბედნიერ საბჭოთა ადამიანების გულში იცოცხლებს ხსოვნა მენაღმე ივანე ნიკულინის რაზმის მამაცი მეზღვაურთა საგმირო საქმეებსა და სახელზე.

პოლიტხელი ი. მიროშნიჩენკო.

(„პრავდა“, 29 აგვისტო).

1942-43 წლის თეატრალური სეზონის გახსნა

რუსთაველის თეატრი

[illegible]

მარჯანიშვილის თეატრი

[illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხაჭიაშვილი

[illegible]

დიდება გმირს, ზიზღი ლაჩარს!

მძიმე, შეუპოვარი ბრძოლები ჰიტლერელ ყაჩაღებთან წინანდელი სისასტიკით გრძელდება. არც დღისით, არც ღამით არა სცხრება ბრძოლები. დაჭრილი მტერი, რომელსაც სისხლი სდის, გააფთრებით მოიწევს წინ, მას მოერეკება დრო, იგი იჩქარის გაექცეს დაღუპვას.

შევაჩეროთ ჰიტლერელი მხეცი! საამისოდ როდი კმარა ტანკები, თვითმფრინავები, არტილერია. საჭიროა, რათა თვითმფრინავებს, ტანკებს, ზარბაზნებს, ნაღმსატყორცნებს, ტყვიამფრქვევებს მართავდნენ უნარი, მხნეობა, მამაცობა, გულადობა. წითელ არმიას უთვალავი ჰყავს მებრძოლები, მეთაურები, რომელთაც ეს საბრძოლო თვისებანი გააჩნიათ. მეომრები, რომელთა სახელები გუშინ ნაკლებცნობილი იყო, დღეს განთქმულნი არიან მთელ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ქვეყანა სიამაყით ტყობილობს, რომ საბჭოთა გმირების სიმტკიცესა, სიმამაცესა და გულადობაზე იმსხვრევიან მტრის ტანკები, ნაფოტებად იქცევიან ასობით ბომბდამშენები, ბრძოლის ველები იფარება ათასობით ჰიტლერელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებით.

საბჭოთა სამშობლოს დამცველებისათვის წმიდა მცნება უნდა იყოს ლენინის სიტყვები: „იმათთვის, ვინც ფრონტზე მიდის, როგორც მუშათა და გლეხთა წარმომადგენელნი, არჩევანი არ შეიძლება. მათი ლოზუნგი უნდა იყოს — სიკვდილი ან გამარჯვება“. ეს სიტყვები ლენინის მიერ ნათქვამია სამოქალაქო ომის წლებში. ამ სიტყვებში ყოველი ჩვენი მეომარი იპოვნის საძულველ მტერზე გამარჯვების გასაღებს.

არც ერთი ნაბიჯი უკან! — ასეთია ლოზუნგი გვარდიის კაზაკთა იმ კორპუსის კავალერისტებისა, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი კირიჩენკო სარდლობს. ხანში შესულ კაზაკს ანდრია ეგოროვს ხიდის დაცვა მიანდეს. მან ბუჩქებში დასდგა ტყვიამფრქვევი და გერმანელების წინააღმდეგ გრიგალისებური ცეცხლი გააჩაღა. დაეცნენ ტყვიებით მოთიბული პირველი რიგები, მაგრამ დანარჩენნი შემოტევას განაგრძობდნენ. მამაცმა მებრძოლმა 70-მდე ჯარისკაცი დახოცა და ხიდზე მტერი არ გამოუშვა.

ასე იბრძვიან სახელოვანი კაზაკები. ასე უნდა იბრძოლოს ყველა საბჭოთა მეომარმა.

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება კორესპონდენცია 25 შავზღვეელის უმაგალითო გმირობაზე; ისინი ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ თავიანთ ნაწილებში ბრუნდებოდნენ და გზაში ბრძოლა გაუმართეს მტრის საჰაერო დესანტს. მეზღვაურებმა გასწყვიტეს 68 ჰიტლერელი, ტყვედ წამოიყვანეს 12, იარაღი აჰყარეს მათ და განაგრძობდნენ მტრის დევნას. შავზღვეელებმა მოახერხეს 2 „იუნკერსის“ მოსპობა და მესამე თვითმფრინავიდან დაშვებული დესანტი აიძულეს ტყვედ დანებებულიყო.

დაე მთელმა ჩვენმა ქვეყანამ კიდით-კიდემდე გაიგოს ამ დევგმირთა გმირობის ამბავი. გაუმარჯოს გმირებს!

მხოლოდ სიკვდილს შეუძლია ხელიდან გააგდებინოს იარაღი ასეთ ადამიანებს.

მაგრამ გმირები ბრძოლის ველზე სიკვდილზე კი არა ფიქრობენ, არამედ გამარჯვებაზე. თავიანთი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისათვის კი არა ზრუნავენ გმირები ბრძოლის ველზე, არამედ თითოეული მტკაველი საბჭოთა მიწა-წყლის დაცვაზე. და ისინი იმარჯვებენ, მათს სახელს სიყვარულითა და პატივისცემით წარმოსთქვამენ საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში, მათს უკვდავ საგმირო საქმეებს უმღერებს ხალხი.

მამაცობის სასწაულებს გვიჩვენებენ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლაში ჩვენი სახელოვანი პარტიზანები. ბრიანსკის ტყეების ორმა პარტიზანმა ვიქტორ ჩერნიაევმა და სერგი ქიქიკინმა ბრძოლა გაუმართეს 150 ჰიტლერელს. გარშემორტყმულ გერმანელთა წრე წუთობით ვიწროვდებოდა. ჩერნიაევი და ქიქიკინი სადგურის შენობაში შევიდნენ და გერმანელების წინააღმდეგ გააჩაღეს გამიზნებული გამანადგურებელი ცეცხლი. მიუხედავად თავისი უდიდესი უპირატესობისა, მტერმა ვერა გააწყო რა მამაც პარტიზანებთან. ფაშისტთა რიგები თხელდებოდნენ პარტიზანთა მარჯვე ცეცხლით. მაშინ გერმანელებმა ცეცხლი წაუკიდეს სადგურის შენობას. პარტიზანთა მდგომარეობა გამოუვალი ხდებოდა. მაგრამ პარტიზანები ჰიტლერელებს არ დანებდნენ. მათ კიდევ უფრო გააძლიერეს ცეცხლი მტრის წინააღმდეგ. დაახლოებით ერთ საათს გასტანა ორი პარტიზანის ბრძოლამ 150 ფაშისტის წინააღმდეგ. გმირები ვიქტორ ჩერნიაევი და სერგი ქიქიკინი ხანძრის ალში დაიღუპნენ, მაგრამ თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს 40-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპეს!

ათასობით, მილიონობით ჰყავს ასეთი გმირები ჩვენს ქვეყანას. მათ ოსტატურად დაჰყავთ ტანკები, თვითმფრინავები, ხომალდები, წყალქვეშა ნავები. ისინი ულმობლად ანადგურებენ მტერს ზარბაზნებით, ნაღმსატყორცნებით, ტყვიამფრქვევებით, ავტომატებით, შაშხანებით. ისინი გამარჯვებული გამოდიან თითქოს ყველაზე გამოუვალი მდგომარეობიდან, იმიტომ რომ მათ გააჩნიათ საბჭოთა ადამიანის ძირითადი თვისება.

რა თვისებაა ეს?

„დიდი ლენინი, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო შექმნა, ამბობდა,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—რომ საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს სიმამაცე, გამბედაობა, უშიშრობა ბრძოლაში, მზადყოფნა იმისათვის, რომ ხალხთან ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ“.

ხალხი სამარადისო დიდების სიმღერას უმღერის გმირებს, მამაც, მტკიცე მეომრებს. ხალხი ზიზღით მოსავს, ლაფს ასხამს იმათ სახელებს, ვინც ბრძოლის მძიმე წუთს უკან დაიხია, ვინც ბუჩქებში იმალება და მის გვერდით მებრძოლ მეომარს მტრის ორმაგი, სამმაგი დარტყმის ქვეშ აყენებს. ის, ვინც მეზობლის ზურგს უკან იმალება,—მოღალატის, გამცემის თანაბარია, და მისი სახელი სამარადისოდ იქნება დაწყევლილი. ლაჩარი არცხვენს თავის სამშობლოს, არცხვენს თავის ოჯახს, თავის შვილებს.

ლაჩარი, როგორც წესი, პანიკაში ვარდება და თვითონ ეტაკება ტყვიას, მისი მსხვერპლი ხდება. ლაჩარი ათასჯერ კვდება, გვასწავლის ხალხური ანდაზა, გმირი კი მხოლოდ ერთხელ.

თუნდაც ერთი კაცის სიმხდალეს ბრძოლაში შეუძლია მძიმე შედეგები გამოიწვიოს და დამღუპველი გახდეს მთელი სამხედრო ნაწილისათვის. ომში მებრძოლთა ხაზი თითქმის არასოდეს არ არის მთლიანი. ამიტომ ზღუდეზე მდგომი ყოველი მებრძოლი ჯაჭვის რგოლია. ერთი რგოლი რომ სიმხდალის, სულმოკლეობის ჟანგით შეჭმული აღმოჩნდეს,—ჯაჭვი შეიძლება გაწყდეს. გარღვევაში გამოეჭანება მტერი, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა დაარტყას ნაწილს ზურგიდან, მოსწყვიტოს იგი რეზერვებს.

ლეიტენანტი დიმიტრი სტეპანოვი ცუდ მეთაურად როდი ითვლებოდა, თავის მებრძოლ ამხანაგთა წრეში ერთგვარი ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ ერთ ოპერაციაში, როცა მებრძოლთა მის ჯგუფს უეცრად დაესხნენ თავს გერმანელები, მეთაურს მხნეობამ უღალატა. მებრძოლები სტეპანოვის ბრძანებას ელოდებოდნენ, მაგრამ მეთაურმა სიმხდალე გამოიჩინა, საბრძოლო ბრძანება არ გასცა მტრის გასამკლავებლად და გაიქცა. მტერმა ამით ისარგებლა და გარკვეული ზარალი მოგვაყენა.

მეთაურის სიმხდალე ძვირად დაგვიჯდა. სტეპანოვმა დაივიწყა მეომრის მოვალეობა. იგი თავს შველიდა და სასიკვდილო საფრთხეში ჩააგდო მებრძოლთა სიცოცხლე, სამშობლოს ღირსება. მან ვერ გადაარჩინა თავისი სიცოცხლე. იგი უბადრუკი, სამარცხვინო სიკვდილით დაიღუპა.

როდესაც ბრძოლის ველებზე სწყდება ჩვენი სამშობლოს ბედი, საბჭოთა სახელმწიფოს ღირსება და სიცოცხლე,—დედა გულგრილად ვერ შეხედავს თვალებში ვაჟს, ქალიშვილი—შეყვარებულს, და—ძმას, რომელიც დაფრთხა მტრის წინაშე, რომელიც გაიქცა ბრძოლის ველიდან, რომელმაც მეთაურის ბრძანების მიუღებლად უკან დაიხია მტრის შემოტევის გამო.

— ჩვენ მოგვეპოვება ყოველივე, რითაც უნდა ვურტყათ მტერს. ჩვენ ბევრი ტანკი, თვითმფრინავი, ზარბაზანი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი და სხვა იარაღი გვაქვს. ჩვენ ბევრი შესანიშნავი, ნებისყოფიანი, დახელოვნებული, მამაცი მებრძოლი, მეთაური და პოლიტმუშაკი გვყავს. მათი სიმტკიცე, მათი მამაცობა, მათი სიდინჯე მთელი წითელი არმიის საერთო საკუთრება უნდა გახდეს.

შეუდრეკლად იდექ საბრძოლო პოსტზე, საბჭოთა მეომარო, ჩაეჭიდე ყოველ მტკაველ სამშობლო მიწას, მძლავრი დარტყმებით განუწყვეტლად ანადგურე მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა—და შენ გაიმარჯვებ!

„პრავდის“ მოწინავე, 29/VIII.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უ0 7992